თავცეცხლა - *Galeopsis tetrahit* L.

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 50 სმ; ღერო - ძლიერ დატოტვილია, რომელიც დაფარულია უხეში ბუსუსებით; ფოთლები - მოგრძო-კვერცხისებური, წაწვეტებული, დაკბილული კიდეებით; ყვავილები - მოვარდისფრო; ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - კაკლუჭა, უკუკვერცხისებური ფორმის, მონაცრისფრო-ყავისფერი, ზედაპირი მარცვლოვანი, სიგრძე 2.75–3.25 მმ, სიგანე 2–2.25 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 100-600 თესლი, მისი სიცოცხლისუნარიანობა 14 წელია.

მინდვრის სპერგულა - *Spergula arvensis* L.

ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან, 15-20 სმ სიმაღლის, დაფარულია ჯირკვლოვანი ბუსუსებით; ფოთლები - ხაზურა; ყვავილები - მცირე ზომის, თეთრი, ყვავილობს ივნისიდან სექტემბერამდე; ნაყოფი - კოლოფი, კვერცხისებური, თესლი 1,1 მმ დიამეტრის, სფერული, ლინზისებურად შეჭყლეტილი, ყავისფერი, მწიფდება ივლისიდან აგვისტომდე, ერთი მცენარე 10000-მდე თესლს იძლევა; იგი უპირატესობას ანიჭებს მჟავე და ტენიან ნიადაგებს.

გვირილა - *Matricaria chamomilla* L.

ერთწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან სპეციფიკური სუნით. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - შიშველი, შეუბუსავი, სიმაღლე 15-60 სმ, ძირიდან დატოტვილი; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, ორმაგფრთისებრ დანაკვთული; ყვავილედი კალათა, დიამეტრით 25 მმ. ნაყოფი ცილინდრული თესლურა ოდნავ მოხრილი, გვერდებთან შეჭყლეტილი, წვრილი, ზედაპირი გლუვი, მუქი მწვანე, მასაში მოვერცხლისფრო - ნაცრისფერი, სიგრძე 0.8 – 1.25 მმ, სიგანე 0.2-0.3 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 5000 თესლი. გამოიყენება სამკურნალოდ, აგრეთვე ხალხურ ვეტერინარიაში.

ძაღლყურძენა - *Solanum nigrum* L.

ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძაღლყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი ფუნჯა, ღერო სწორი, დატოტვილი, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები მარტივი, მორიგეობით განლაგებული, ოვალურ - კვერცხისებური, კიდედაკბილული; ყვავილები თეთრი, ვარსკვლავისებური, შეკრული ნახევარქოლგად, ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე; ნაყოფი - შავი, წვნიანი კენკრა, მრგვალი, 1 სმ დიამეტრის, მწიფდება აგვისტო-ოქტომბერში; თესლი მომრგვალო, კვერცხისებური, გვერდებიდან შეჭყლეტილი, ფუძესთან შევიწროებული, ჭიპი გვერდული, სუსტად შესამჩნევი, ზედაპირი ბადისებური, მოყვითალო-ჩალისფერი, სიგრძე 1.75-2 მმ, სიგანე 1.25-1.5 მმ.

შვრიუკა - *Avena fatua* L.

ერთწლიანი ერთლებნიანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან, სიმაღლით 120 სმ; ფესვი - ფუნჯა; ფოთლები ლანცეტისებური; კილიანი მარცვალი თითისტარისებური, ფხიანი, გარეთა კილი ტყავისებური, მჭიდროდ ეკვრის მარცვალს, წვეროში გაყოფილია ორად, ფხა მუხლისებურია, მაგარი, გამოდის შუა ნაწილიდან, სიგრძით 12-20 მმ; მარცვალი ცილინდრული, ზედაპირი დაფარულია თხელი, მონაცრისფრო - მოყვითალო ზემოთ მიმართული ბუსუსებით, სიგრძე 6-8 მმ.

ხოვერა - *Galium tricorne* With.

ერთწლიანი, ბალახოვანი, მხოხავი სარეველა მცენარეა ენდროსებრთა ოჯახიდან, სიგრძით 10-60 სმ; ღერო - მარტივი, მხოხავი, ოთხწახნაგიანი; ფოთლები - ხაზურა-ლანცეტისებური, რგოლურად შეკრებილი; ყვავილი - მოთეთრო, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე; ნაყოფი - კაკლუჭა, მრგვალი, ყავისფერი, ბორცვიანი, დიამეტრით 2-3.5 მმ, თესლი მრგვალი, კაკლუჭისმაგვარი; კარტოფილის გარდა ასარევლიანებს მარცვლოვან და სათოხნ კულტურებს.

დანდური - *Portulaca oleracea* L.

ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, სუკულენტი; ღერო - გართხმული, მოწითალო ფერის 10-40 სმ; ფოთლები მჯდომარე, ხორცოვანი; ყვავილი წვრილი, ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი კვერცხისებური ან სფეროსებური კოლოფი, მწიფდება სექტემბერში, თესლი თირკმლისებური, ოვალურ - მომრგვალო, ზოგჯერ სუსტად დაკუთხული, გვერდებზე შეჭყლეტილი, ზედაპირი სუსტად დაკბილული, ნაკლებად მბზინვარე, შავი, მუქი ყავისფერი სიგრძე - სიგანე 0.75-1 მმ. ასრევლიანებს ბოსტნეულ კულტურებს, იზრდება გზის პირებთან.

საგველა - Apera spica-venti L.

საშემოდგომო, ერთწლიანი, მარცვლოვანი სარეველა მცენარეა. ფესვი - ფუნჯა; ღეროს სიმაღლე 30-125 სმ; ფოთოლი - ბრტყელი, ხაზურა; ყვავილედი - საგველა; მარცვალი - ლანცეტისებურ-კვერცხისებური, ვიწრო, ღრმა ღარით, სიგრძე 2.4-0.6 მმ, სიცოცხლისუნარიანობა 1-4 წელია, აღმოცენდება შემოდგომაზე, უპირატესობას ანიჭებს მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებს.

ჩვეულებრივი თივაქასრა - *Poa trivialis* L.

მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი სარეველაამარცვლოვანთა ოჯახიდან; ღეროს სიმაღლე 20-100 სმ; ფოთლები რბილი, ბრტყელი, მწვანე ან იასამნისფერ-მომწვანო, სიგანე 2-4 მმ; ყვავილედი საგველა, სიგრძე 6 სმ; მარცვალი - ელიფსოიდური ან მოგრძო, მოწითალო-ყვითელი, სიგრძე 1.3-3 მმ, ერთი მცენარე ივითარებს 1000 მარცვალს.